პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 98 (4608)

1972 წ. 21 მაისი, კვირა.

ფასი 8 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკურ კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

მატჩი მსოფლიო პირველობაზე
ეროვნული ბიბლიოთეკა

ყველა ოქრო რიგერტს დარჩა



ძალოსანთა ევროპულ ჩემპიონატში მსოფლიოს, ევროპისა და ეროვნული რეკორდები აღარავის ჭეშვირს, მაგრამ ქვემძიმე წონის ათლეტთა შეჯიბრებაში საბჭოთა სპორტსმენმა, შახტელმა ზეინალმა დ. რიგერტმა ბევრის მნახველი სპეციალისტებიც კი გააოცა. გარდა იმისა, რომ ქვემძიმე წონაში ევროპის ჩემპიონის წოდება შეინარჩუნა, მან ერი მსოფლიო რეკორდიც დამყარა: 166 კგ აიტაცა და სამჭიდში 557,5 კგ აჩვენა. წინანდელი რეკორდებიც რიგერტს ეკუთვნოდა და შესაბამისად ნახევარი და 2,5 კილოგრამით ნაკლები იყო. ევროპის წლეულდელ ჩემპიონატში არც ერთ ძალოსანს არ მოუგია ოქროს მცირე მედლები სამჭიდის ყველა სახეობაში. რიგერტის მოსაგალი აქაც უხვი იყო: მან სამივე მოძრაობაში ოქროს მცირე მედლები დაისაკუთრა.

II ადგილზეა ბულგარელი ა. შოპოვი — 527,5 კგ. მას 2,5 კილოგრამით ჩამორჩა თანაგუნდელი ა. ნიკოლოვი, რომელსაც ბრინჯაოს დიდი მედალი გადაეცა.

გუნდურ ჩათვლაში 42 ქულით დამაჯერებლად ლიდერობენ საბჭოთა ძალოსნები. მათ 3 ქულით ჩამორჩენიან ბულგარელები. III ადგილზე მყოფ პოლონელებს 29 ქულა აქვთ. ბულგარელებს კიდევ ერთი ძალოსნის გამოყვანა შეუძლიათ, პოლონელებმა კი ასპარეზობა დაამთავრეს. საბჭოთა სპორტსმენთაგან მძიმე წონაში გამოვა ი. ტალტსი, ხოლო ზემძიმე წონაში — ვ. ალექსეევი.

• • •

სურათზე: დ. რიგერტი.
ვ. უნ და-სინის ფოტო (საკვლისი).

ГОЛО ეტაპის წინ

19 მაისს გაიმართა მშვიდობის XXV საიუბილეო ველოსრბოლის ბოლოსწინა, XIII ეტაპი: ფეშუი — ლიუბლინი (162 კმ). ლიუბლინის სტადიონის ბილიკზე პირველი შეიჭრა მშვიდობის ველოსრბოლებში ორგზის გამარჯვებული რ. შუმკოვსკი (პოლონეთი), რომელიც ველოტრაკანს მძლავრი ბიძგით მაშინ მოსწყდა, როცა ფინიშამდე 60 კმ იყო დარჩენილი. მან მრბოლელთა ძირითადი ჯგუფი 4 წუთით ჩამოიტოვა.

II ადგილი დაიკავა ვ. მორავეცმა (ჩეხოსლოვაკია), რისი წყალობითაც მან ლენინგრადელ ვ. ნელიუბინს ჩამოართვა ლიდერის ყვითელი მაისური. ფინიშთან მესამე იყო ნელიუბინი. 13 ეტაპის ჯამში მორავეცის დრო 43:53.28. იგი ლენინგრადელს 5 წამით უსწრებს. III ადგილზეა ვ. კუნი (გდრ) — 43:54.41. მათ კვალში მიჰყვებიან მოსკოველი ოლქის წარმომადგენელი ნ. გორელოვი (43:54.59) და კუბიმეველი ა. გუსიატნიკოვი (43:55.26).

დანარჩენი საბჭოთა ველოსიპედისტების შედეგები ასეთია: VIII. კიშინიოველი ი. მოსკალოვი (43:56.43), XII. მოსკოველი ი. დმიტრიევი (43:58.07), XXI. კიშინიოველი ვ. ბელოუსოვი (44:07.33).

გუნდურ ჩათვლაში დამაჯერებლად ლიდერობს საბჭოთა ნაკრები — 131:40.26. იგი ჩეხოსლოვაკიის გუნდს 3 წუთითა და 7 წამით უსწრებს, ხოლო გდრ-ის ნაკრებს — 4 წუთითა და 16 წამით.

ᲙᲝᲜᲙᲣᲠᲡᲘ

საშუალო წონის რიგელი ძალოსანი გ. ივანჩენკო სულ ბოლო მომენტამდე აპირებდა ევროპის ჩემპიონატში გამოსვლას, მაგრამ მერე შინ დარჩა და პიონერული ორგანიზაციის 50 წლისთავისადმი მიძღვნილ შეჯიბრებაში რეკორდებს შეუტია. მართალია, ივანჩენკომ მხოლოდ აჭიმვაში დაამყარა მსოფლიო რეკორდი, მაგრამ დანარჩენ სახეობებშიც საკმაოდ ნაღალი შედეგები ჰქონდა: ნეოფიტე, დამატებით ცდაზე აჭიმვაში 178,5 კგ აჩვენა და ნახევარი კილოგრამი წაუმატა მინსკელი ძალოსნის ვ. შარიის ამასწინანდელ მიღწევას. ატაცაში ივანჩენკომ საკავშირო რეკორდი დაამყარა — 156 კგ. ეს კილოგრამნახევრით აღემატება საკავშირო რეკორდს და ბულგარელი რ. რუსევის მსოფლიო მიღწევის გამეორებაა. ივანჩენკომ სამჭიდში 522,5 კგ (172,5+155+195) დააგროვა. ეს შედეგი შარიის მსოფლიო რეკორდზე 5 კილოგრამით ნაკლებია.

სსრ კავშირის ჩემპიონატი ფეხბურთში

უმაღლესი ლიგა

2:0 და... წაგება

19 მაისს მოსკოვში გაიმართა მორიგი კალენდარული მატჩი: ცსკა — კიევის „დინამო“.

შესვენებამდე დაწინაურდნენ კიეველები: მუნტიანისა (საჯარიმოთი) და ბლოხინის ზუსტი დარტყმების შემდეგ ანგარიში იყო 2:0 ჩემპიონის სასარგებლოდ. არმიელებს ჰიეცათ 1 გოლის გაქვითვის შესაძლებლობა, მაგრამ პოლიკარპოვმა ძელს მოახვედრა პენალტიდან დარტყმული ბურთი.

მიუხედავად ამისა, ცსკა-მ შეძლო მატჩის ხსნა და საბოლოოდ გაიმარჯვა კიდეც — 3:2. ერთი ბურთი 49-ე წუთზე გაქვითა პოლიკარპოვმა, შემდეგ მანვე გაიტანა მეორე გოლი, ბოლო, გადამწყვეტი ბურთი კი სტუმართა კარში ტელინგერმა მოათავსა.

ᲒᲣᲨᲘᲜ...

თბილისის „დინამომ“ გათამაშების ლიდერს — ვოროშილოვგრადის „ზარიას“ უმასპინძლა. საინტერესო ბრძოლა თბილისელთა გამარჯვებით დამთავრდა — 2:1. ბურთები გაიტანეს: თბილისელთაგან — გ. ნოდიამ (მე-20 წ.) და ასათიანმა (79), ვოროშილოვგრადელთაგან — ვ. კუზნეცოვმა (59).

I ᲚᲘᲒᲐ

ᲝᲠᲘᲕᲔ ᲚᲘᲓᲔᲠᲘ ᲓᲐᲛᲐᲠᲪᲮᲚᲓᲐ

გუშინწინ შედგა მორიგი ტურის შესვედრები.

დამარცხდა გათამაშების ორივე ლიდერი: ქუთაისის „ტორპედოც“ და დონეცკის „შახტიორიც“. ქუთაისელებმა წააგეს ყარაგანდაში „შახტიორთან“, ხოლო დონეცკელებმა კუიბიშევში — „კრილია სოვეტოვთან“. ორივე მატჩი დამთავრდა ერთნაირი ანგარიშით — 1:0.

სხვა შესვედრათა შედეგები ასეთია: „დინამო“ (ლენინგრადი) — „სტროიტელი“ (აშხაბადი) 4:0, „მეტალურგი“ (ზაპოროჟიე) — „კრივბასი“ (კრივოი როგი) 3:1.

მეოთხე პარტია

ა. კუზნირი — ნ. გაფრინდაშვილი
ᲑᲠᲘᲣᲜᲤᲔᲚᲓᲘᲡ ᲓᲐᲪᲕᲐ

1. d4 Ძf6 2. c4 g6 3. Ძc3 d5 4. cd Ძ:d5 5. e4 Ძ:c3 6. bc Ჯg7

ამ სვლას ახლა ხშირად თამაშობენ. მეორე პარტიაში ნონამ აქ ცენტრში პაიკის გაცვლა ამჯობინა.

7. Ჯc4 c5 8. Ძe2 Ძc6 9. Ჯe3 0—0 10. 0—0 ლc7 11. ეc1 ეd8 12. Ჯf4 ლd7

უფრო ბუნებრივი იყო 12. ... ლg5.

13. dc

კუზნირს პაიკი აჰყავს, რასაც ოსტატები გვერდს უვლიან შავების ინიციატივის გამო. ასე აქამდე არავის უთამაშია. ამჯობესებენ 13. d5.

13. ... ლe8 14. Ჯd5 Ძe5 15. ლb3 e6 16. Ჯ:b7 Ჯ:b7 17. ლ:b7 Ძd3 18. Ჯd6

რა საჭიროა ხარისხის შეწირვა? ჯობდა 18. ეd1 Ძ:c5 19. ლb1 ზედმეტი პაიკის შენარჩუნებით. მაგრამ კუზნირი d6 უჯრაზე გამაგრებას და პაიკის წინსვლით მოგების შანსის მიღებას ისახავდა მიზნად, თუმცა მწვავე ტაქტიკური გართულებები არ უყვარს.

18. ... Ძ:c1 19. Ძ:c1 e5

შავების მთავარი ამოცანაა Ჯd6 ამოძირკვა. კუზნირს f4 გამომწვევი სვლით შეეძლო მეტოქისთვის ხელი შეეშალა. მაგრამ მან ამჯობინა თამაშის პოზიციური ხერხი, რამაც ნონას თავისი გეგმის ხორცშესხმის შესაძლებლობა მისცა.

20. Ძd3 Ჯf8 21. ლd5 ეac8 22. ეd1

გაუბედავი სვლაა. სწორი იყო 22. f4.

22. ... Ჯ:d6 23. cd ეc6

შესანიშნავი მანევრია. საინტერესოა, რომ ამ სვლას პრეს-ცენტრში შეკრებილი დიდოსტატები და ოსტატები ვერ ხედავდნენ. ნონა ღებულობს მოსაგებ პოზიციას. მისი მთავარი მიზანია ენდშპილში გადასვლა, სადაც ადვილად შეიძლება მატერიალური უპირატესობის განაღდება.

24. d7 ლ:d7 25. Ძ:e5 ლ:d5 26. ed ეc3 27. g3 Ძg7

საჭიროა ცენტრში მეფის შემოყვანა.

28. Ძg4 ეc2 29. ეa1 ეdc8

სადა და ძლიერი გაგრძელება. ეტლების გაცვლის შემდეგ თეთრებს სრულიად უიმედო მდგომარეობა აქვთ. ნონა მოსაგებ ენდშპილს ტექნიკურად ზუსტად თამაშობს.

30. Ძg2 ეc1 31. ე:c1 ე:c1 32. Ძf3 f5 33. Ძe3 Ძf6 34. g4 Ძe6 35. gf gf 36. h4 ეc3 37. Ძe2 f4 38. Ჯg4+ Ძ:d5 39. Ძf6+ Ძd4 40. Ძ:h7 f3+ 41. Ძd2 ეa3. კუზნირი დანებდა.

ამრიგად, ანგარიში გახდა 3:1 მსოფლიო ჩემპიონის სასარგებლოდ.

თ. გიორგაძე.
(ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.).
რიგა.

ᲒᲣᲨᲘᲜᲬᲘᲜ

მოჭადრაკე ვაჟთა რესპუბლიკურ ჩემპიონატში გადადებული პარტიების დამთავრება მოეწყო.

აქტივში 2 ქულა ჩაიწერა თბილისის ჩემპიონმა დ. ჯანოევმა — დაამარცხა ა. ბალავაძე (რუსთავი) და ნ. ჩახოიანი (თბილისი). ი. მანაშეროვმა (ხაშური) წააგო ა. ბუსლაევთან, პ. შაქარიანმა — ე. უბილავასთან (სამივე — თბილისი), ა. რაზოვსკიმ (ქუთაისი) მოუგო გ. ბაბილაშვილს (გარდაბანი). ეს ქუთაისელის პირველი გამარჯვებაა.

ყაიმით დამთავრდა პარტიები: რ. დადიანი (სოხუმი) — ჩახოიანი, თ. გიორგაძე — შაქარიანი (ორივე — თბილისი), მ. არჩვაძე (სამტრედია) — ე. მიქაელიანი (თბილისი), მანაშეროვი — უბილავა, არჩვაძე — ბიბილაშვილი, ბიბილაშვილი — ნანაშეროვი და ა. ტუზოვსკი (სოხუმი) — ლ. კერნაჟიცკი (ბათუმი). ხაში პარტია კვლავ გადადიდო.

10 ტურის შემდეგ ლიდერობს გიორგაძე — 8,5 ქულა. 7,5 ქულა მოაგროვა ჯანოევმა. 6,5 ქულა აქვს უბილავას, 6-6 ქულა — ტუზოვსკისა და ლ. ნეურონოვს (ბათუმი). 5,5-5,5 ქულა დაუგროვდათ საქართველოს წარმანდელ ჩემპიონს ზ. მიქაძეს (გუდაუთა) და ბუსლაევს, ოღონდ ამ უკანასკნელს ერთი პარტია გადაღებული აქვს.

• • • • •

5 ᲥᲣᲚᲘᲗ

საქართველოს მოჭადრაკე ქალთა ჩემპიონატის VI ტური გუშინწინ გაიმართა. შეჯიბრების ერთ-ერთმა ლიდერმა თ. ხუგაშვილმა მოუგო მ. გაგლოევას, ხოლო მეორე ლიდერმა თ. კაჭარავამ ყაიმით დაამთავრა შეხვედრა ნ. ჩიქობავასთან. ნ. ბაღაშვილმა დაამარცხა მ. წერეთელი, დ. ქობალიამ — ქ. გეგიძე. ყაიმით დამთავრდა მ. მამისთვალოვა — ნ. ხუბულურის (ყველა — თბილისი) შეხვედრა. ორი პარტია გადაიდო.

6 ტურის შემდეგ შეჯიბრების ერთპიროვნული ლიდერია ხუგაშვილი — 5 ქულა. მას ნახევარი ქულით ჩამორჩება კაჭარავა. 3,5 ქულა და 1 გადადებული პარტია აქვს ს. კალანდარიშვილს (თბილისი). 3-3 ქულა აქვთ თბილისელებს ჩიქობავას, ხუბულურს, ბაშინურიძეს და ბაღაშვილს (ბაშინურიძეს — 5-დან, ბაღაშვილს — 4-დან).

„ᲑᲣᲠᲔᲕᲔᲡᲢᲜᲘᲙᲘᲡ“ ᲙᲝᲜᲙᲣᲠᲡᲘ

„ბურევესტნიკის“ რესპუბლიკური საბჭო აწყობს საკავშირო კონკურსს საჭადრაკო ეტიუდების შედგენაში, რომელიც სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავს ეძღვნება.

კონკურსში გამარჯვებულთათვის დაწესებულია სამი ფულადი ჯილდო — 50, 40 და 30 მანეთის ოდენობით, აგრეთვე, სამი საპატიო და სამი საქები შეფასება.

კონკურსზე შეიძლება გაგზავნოს მხოლოდ გამოუქვეყნებელი ეტიუდები, ამასთან, თითოეულ ავტორს მხოლოდ ორი ნაწარმოების გაგზავნის უფლება აქვს. ეტიუდები აუცილებლად გამოსახული უნდა იყოს დიაგრამაზე, დაწვრილებითი ახსნა-განმარტებით, თითოეული ორ ცალად, სახელის, გვარისა და პროფესიის მითითებით. უზუსტობის შემთხვევაში ეტიუდების ავტორები კონკურსზე არ დაიშვებიან. კონკურსის მსაჯია ვ. კალანდაძე.

მასალების გამოგზავნის უკანასკნელი ვადაა 1972 წლის 1 სექტემბერი (საფოსტო შტემპელით). ეტიუდები უნდა გაიგზავნოს მისამართით: თბილისი, ლენინის ქ. № 37. „ბურევესტნიკის“ რესპუბლიკური საბჭო. „საჭადრაკო კონკურსისთვის“.



სოციალისტური ქვეყნების სპორტსმენები

დემბერელის

მშვილდოსანთა მსოფლიო ჩემპიონატის ბოლო დღეს, რომელიც შარშან ინგლისის ქალაქ იორკში ჩატარდა, ქარი და წვიმა დაესწრო. მაგრამ ამას ოდნავაც არ გაუნელებია ბრძოლის დაძაბულობა 30 მეტრზე შეჯიბრებაში. საყოველთაო ყურადღებას იქცევდა ორი სპორტსმენი ქალი, მსოფლიო ჩემპიონის სახელს ორი პრეტენდენტი — ამერიკელი უილვერი და მონგოლი დემბერელი.

როცა თითო ისარიღა დარჩა, ორივე მეტოქეს თანაბარი ქულები ჰქონდა. ჯერ ამერიკელმა ტყორცნა — 9 ქულა. დემბერელი გარეგნულად მშვიდად იყო, მაგრამ შიგნით, მის არსებაში, ყველაფერს ცეცხლი ეკიდა. დიდხანს ემზადებოდა, ლამის საკონტროლო დროც ამოიწურა, მაგრამ „ოქროს“ ისარი სწორედ ბოლო წამში გაფრინდა მიზნისკენ — 10 ქულა! ბედნიერმა, ცოტა არ იყოს დაბნეულმა დემბერელმა ოქროს მედალი მიიღო.

ბევრს როდი ეგონა, რომ მონგოლეთიდან ჩასული გოგონები განვლილ მსოფლიო ჩემპიონატში სერიოზულ მეტოქეობას გაუწევდნენ ამ სახეობის აღიარებულ ფავორიტებს — პოლონეთის, სსრ კავშირის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და სხვა ქვეყნების სპორტსმენებს. მონგოლეთის წარმომადგენლებმა პირველად 1967 წელს მიიღეს მონაწილეობა მსოფლიო ჩემპიონატში, რომელიც ჰოლანდიაში გაიმართა. პირველი ნაბიჯი დიდ სპორტში უიღბლო გამოდგა — მათ ერთ-ერთი ბოლო ადგილი ხვდათ. მაგრამ უკვე ორი წლის შემდეგ მონგოლები ფილადელფიის მსოფლიო ჩემპიონატში VIII ადგილზე აღმოჩნდნენ და ათ უძლიერეს გუნდს შორის დაიმკვიდრეს ადგილი. მაშინ ამერიკის გაზეთები წერდნენ: მომავალში მონგოლები ყველასთვის ძალიან სერიოზული მეტოქეები იქნებიანო. სხვათა შორის, ბედის დაცინვა იყო, რომ გზაში მონგოლთა გუნდმა თავისი მშვილდები დაკარგა. სარბიელზე მონგოლები სხვისი მშვილდებით გამოვიდნენ, მაგრამ მაინც შესანიშნავ შედეგს მიაღწიეს.

11 წლის მანძილზე (მონგოლეთში სპორტული მშვილდოსნობის პირველი სექცია 1960 წელს შეიქმნა) მოხეტიალეებმა დიდი გზა გაიარეს ახალბედებიდან აღიარებულ ოსტატებამდე. ახალ სახეობას თავიდან 30 კაცმა მოჰკიდა ხელი. მერე ბევრმა ამა თუ იმ მიზეზით დატოვა სპორტი, მაგრამ ერთი, ბევრი საერთაშორისო შეჯიბრების პრიზიორი ლ. ჟამიანსურენი საყვარელი საქმის ერთგული დარჩა. ახლა იგი რესპუბლიკის ნაკრების მწვრთნელია და მეექვსე წელია საუკეთესო მონგოლ მშვილდოსნებთან მუშაობს.

რაში ხედავს მწვრთნელი თავისი მოწაფეების წარმატების საიდუმლოს,



როგორც ვიუწყებოდით, როტერდამში გაიმართა ევროპის ჩემპიონატი მაგიდის ჩოგბურთში. ჩემპიონატის ბოლო დღეს სპორტდარბაზ „ენერგიაში“ ორჯერ აელერდა საბჭოთა კავშირის პიმნი: მოსკოველმა ზ. რუდნოვამ ფინალში აჯობა უნგრელ სპორტსმენ კიშხაზის და კონტინენტზე უძლიერესის წოდება შეინარჩუნა. მანვე ოქროს მეორე ჯილდო დაისაკუთრა თანაქალაქელ ს. გომოზკოვთან ერთად.

* * *

სურათზე: თამაშობენ ს. გომოზკოვი და ზ. რუდნოვა.

ა. მელიბოვის ფოტო (საკადესი).

„სანგარის“ სპორტული კოლექტივი

„ვიწყებთ საწარმოო ტანვარჯიშს“, — ისმის მეთოდისტ ჰ. სალოს ხმა რეპროდუქტორიდან. ასეა ყოველდღიურად — 12 საათზე საამქროებში ვარჯიში იწყება.

ორი საათის შემდეგ მკერავები ისევ დგებიან და რამდენიმე ვარჯიშს აკეთებენ. დაღლილობაც ქრება და ნერვული დაძაბულობაც.

— წლევანდელი წლის პირველ კვარტალში, — უამბო საკადესის კორესპონდენტს ფაბრიკა „სანგარის“ დირექტორმა ი. კრაფტმა, — შრომისნაყოფიერება ჩვენს საწარმოში შარშანდელი წლის ამავე პერიოდთან შედარებით 9 პროცენტით გაიზარდა. ფაბრიკაში ტარტუს უნივერსიტეტის მეცნიერები გამოკვლევებს ატარებენ. მათ მიაჩნიათ, რომ ასეთ წარმატებას საწარმოო ტანვარჯიშისა და სპორტის წყალობითაც მივაღწიეთ.

მუშებისთვის სწავლულთა ღახმარებით ამუშავებენ სხვადასხვა ტანვარჯიშულ კომპლექსს. ამ ღონისძიებათა მიზანია რეაქციის სისწრაფის, მოძრაობის კოორდინაციის განვითარება, შრომის მოწინავე მეთოდების დროულად ათვისება. საწარმოო ტანვარჯიშს უდიდესი ყურადღება ექცევა. ამას სოციალისტური შეჯიბრების ყოველდღიური შედეგების შეჯამების დროსაც ითვალისწინებენ.

კოლექტივის წევრთა 70 პროცენტი, ესე იგი, ძირითადი პროფესიების ყველა მუშაკი საწარმოო ტანვარჯიშს მისდევს, მათგან ბევრი ფაბრიკის სპორტულ კოლექტივშიცაა გაერთიანებული. „სანგარის“ მოთხილამურეთა გუნდმა ბოლო საქალაქო შეჯიბრებაში V ადგილი დაიკავა. ტარტუში, რომელიც ბევრი კარგი სპორტსმენითაა განთქმული, ეს ნამდვილი წარმატებაა. ბევრმა მოთხილამურემ უკვე ჩააბარა „მზად ვარ შრომისა და სსრ კავშირის დაცვისთვის“ საკავშირო ფიზკულტურული კომპლექსის ნორმატივები. ძალიან უყვართ სპორტული ორიენტირება, ტურიზმი, ტანვარჯიში. სპორტსმენები შრომაშიც სამაგალითონი არიან. მაგალითად, საუკეთესო მუშაკებს — მკერავ მ. ვირუმიაეს და ელექტრიკოსს კ. კივისალუს სათხილამურო სპორტში მეორე თანრიგი აქვთ.

„სანგარის“ კოლექტივი ესტონეთის მონათესავე საწარმოთა სოციალისტურ შეჯიბრებაში უკვე ზედიზედ მეათე კვარტალია პირველ ადგილს არ თმობს.

მ. იუზოვი.
(საკადესის კორ.).

ტარტუ.

სიგულდა ტურისტებს იწვევს

ლატვიის ქალაქ სიგულდაში ტურისტული ბაზის ახალი კორპუსი შენდება. გარდა კომფორტაბელური საცხოვრებელი ოთახებისა 320 კაცისთვის, „ჯანმრთელობის ცისტ-სიმაგრეში“ განლაგებულია სპორტული თამაშების დარბაზები, სოლარიუმი, ბარი.

სიგულდის ტურბაზა ეს უკვე მეექვსე წელია ინარჩუნებს საბჭოთა კავშირში ერთ-ერთი საუკეთესოს სახელს. აქ სანიმუშო მომსახურეობაა, სტუმრებს ყოველგვარ პირობებს უქმნიან აქტიური, გონივრული დასვენებისთვის. სპორტის მოყვარულთა განკარგულებაშია ბევრი მოედანი, ტრამპლინი თხილამურებით სტუმისთვის. ტურისტებს იწვევენ ადგილობრივ მხარეთმცოდნეობის მუზეუმში, ისტორიისა და კულტურის საინტერესო ძეგლების დასათვალიერებლად.

დამსვენებლები გამოცდილი ინსტრუქტორების ხელმძღვანელობით აწყობენ ლაშქრობას მდინარეზე, ლამაზ შემოგარენში. ჩამოსულებს ძალიან მოსწონთ საკურორტო ქალაქის მხატვრული თვითმოქმედების კოლექტივების ოსტატობაც.

სიგულდა ყოველწლიურად ორ მილიონამდე ტურისტსა და ექსკურსანტს მასპინძლობს. ხუთწლედის მანძილზე აქ განხორციელდა მეორე სადაგირო გზის გაყვანა მდინარე გაუიის ხეობაში, სანაოსნო სადგურის რეკონსტრუქცია.

ვ. ბეკერისი.
(საკადესის კორ.).

სიგულდა,
ლატვიის სსრ.

მთელი ოჯახი სექციაში

გროზნოს სარემონტო-მექანიკურ ქარხანაში შეიქმნა სასროლო-სამონადირეო სპორტის სექცია, რომელსაც შრომისა და ომის ვეტერანი გ. ჟერიაკოვი ჩაუდგა სათავეში. ჟერიაკოვის ვაჟი ალექსანდრე საზოგადოებრივი მწვრთნელია. ქალიშვილი ოლგაც სროლითაა გატაცებული.

გ. ჟერიაკოვი დიდი ხანია სპორტს მისდევს, იმ დროიდან, როცა „ვოროშილოველი მსროლელის“ სამკერდე ნიშანი მიიღო. ახლა იგი პირველთანრიგოსანია. ეაკმა სპორტის ოსტატობის კანდიდატის ნორმატივი შეასრულა, ქალიშვილი კი მეორეთანრიგოსანია.

გროზნო.

(საკადესი).

2:0

ყასაბლანკიდან მოვიდა ცნობა, რომ დევისის თასის გათამაშების ევროპული „ა“ ზონის მეორე წრის (მეოთხედფინალი) მატჩში საბჭოთა ჩოგბურთელები დაწინაურდნენ ანგარიშით 2:0. თბილისელმა ალექსანდრე მეტრეველმა დაამარცხა მაროკოს ნაკრების პირველი ჩოგანი ომარ ლიმინი (6:3, 3:6, 6:0, 6.2), ხოლო მოსკოველმა ვლადიმერ კოროტკოვმა — ახმედ ბენ ახმარი (6:0, 6:0, 6:2).

ერთი სახეობის სასახლე

ყულაში საზეიმოდ გაიხსნა ახალი საცურაო აუზი, რომლის ლამაზი, დიდი შენობა მშვენივრად შეეხამა ლენინური კომკავშირის 50 წლისთავის სახელობის საქალაქო სტადიონის ანსამბლს.

ტულის აუზი ერთ-ერთი ყველაზე დიდია საბჭოთა კავშირში. მთავარი აბაზანის სიგრძე 50 მეტრია, სიგანე — 21, სიღრმე 1,8-5,8 მეტრი. აუზს აქვს რვა ბილიკი, წყალში სახტომი კოშკები, 700-ადგილიანი ტრიბუნები, გასახდელები, საშხაპეები, „მშრალი ცურვის“ დარბაზი. აქვე მოწყობილია პატარა აუზი ბავშვებისთვის, რომლებიც ცურვის პირველ გაკვეთილებს იღებენ.

ტულა.

სპორტსმენებს ფვრთნის... ბგერა

სპორტსმენის ტექნიკის დახვეწაში ამიერიდან მწვრთნელის ერთგული თანაშემწე იქნება ხელსაწყო, რომელიც სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ი. პავლოვის სახელობის ფიზიოლოგიის ინსტიტუტის სწავლულებმა შექმნეს. ეს ხელსაწყო სხვადასხვა ფიზიკური ვარჯიშის დროს უმცირეს შეცდომებსაც კი აღნუსხავს.

მორბენალს, რომელიც ბიოგადამცემს ფეხის კუნთებს შეუერთებს, შეუძლია შესაბამისი სიგნალების მიღებით განსაზღვროს მათი მუშაობის ძალა. ორი წყაროდან ბიოდენები ერთ სინქრონულ ნაკადად იქცევა და სტერეოფონულ ეფექტს ქმნის. სპორტსმენს თითქოს თავისი მონდომების ბგერითი სურათი აქვს ხელთ. საკმარისია ერთ-ერთი კუნთის ტონუსმა ოდნავ იკლოს, რომ ბგერა მყისვე „განზე გადის“.

კუნთების მომიჯნავე ჯგუფის ძალის თანაბრობა ერთნაირად მნიშვნელოვანია მაღალი შედეგების მოპოვებისთვის ნიჩბოსნობაში, სათხილამურო სპორტში, ველოსპორტში. ხელსაწყოს დახმარებით სპორტსმენს ყველა შემთხვევაში შეუძლია რაციონალურად გაანაწილოს ძალები, დახვეწოს ტექნიკა შეჯიბრების წინ.

ლენინგრადი.

ჩეხოსლოვაკიის ჰოკეისტთა ნაკრებმა ძალიან გაახარა თავისი სახელმწიფოს სპორტის მოყვარულები. როგორც ცნობილია, პრაღაში გამართულ მსოფლიო და ევროპულ ჩემპიონატში ამ შესანიშნავმა გუნდმა ოქროს მედლები მოიხვეჭა.

სურათზე: მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონი — ჩეხოსლოვაკიის ჰოკეისტთა ნაკრები.

...ქროს ისრები

...ზა დაფუძნებული საუკეთესო მონ-
...ლ მშვილდოსანთა ასეთი წინსვლა?
...როგორ ახსნა მან დემბერელის
...ბარჯვება: „ეს წარმატება კანონ-
...ზერი იყო. მას რკინის დისციპლი-
...და შეუპოვარი შრომა უდევს საფუ-
...ლად. დემბერელი მტკიცე ხასიათის
...ადამიანია, მშვიდი, თავშეკავებუ-
...ი. განწყობილება მის საწვრთნელ
...ადგინობაზე ვერავითარ გავლენას
...ერ ახდენს. ეს სიტყვები მეტნაკლე-
...ად ყამიანსურენის ყველა აღზრდი-
...ს შეიძლება ითქვას. ალბათ-ეს გა-
...ბერობებს მათს წარმატებასაც“.
...თავად დემბერელი მოკრძალებით
...ბობს, ოქროს მედლის იმედი არ
...ონდა. ესეც მისი ხასიათის ერთ-
...ი მხარეა — „ჩრდილში დარ-
...ნ“.
...დემბერელი 34 წლისაა და აქედან
...ა წელიწადი სპორტის საყვარელ
...ობას შესწირა. იგი ცენტრალური
...ბიდანაა. თავიდან ერთ-ერთი სა-
...ლო-სამეურნეო გაერთიანების
...ეში იყო. მშვილდოსნობა ბავშვო-
...ან შეიყვარა. მართალია, თავიდან
...ბს შაშხანა უფრო მოსწონდა, მა-
...ამ მერე მშვილდოსანთა შეჯიბრება-
...ა, და გულმა მთაკენ გაუწია. სექ-
...ია დიდხანს არ მიიღეს, მერე სე-
...ის წევრთა შესარჩევ შეჯიბრებაში,
...როგორც იქნა, მისცეს მშვილდი. ახა-
...ბდას თავის შერცხვენა არ უნდოდა,
...ან ხანს უმიზნა, რომ ზედმეტად
...ეოდა და სამიზნის მაგიერ... ისარ
...ტყორცნა. „ასე დაიწყო ჩემი
...დიდ სპორტში“, — სიცილით
...ობს დემბერელი.
...ალა მსოფლიო ჩემპიონი, მონგო-
...ის სახალხო რესპუბლიკის სპორ-
...ს დამსახურებული ოსტატი დემ-
...ელი ულან-ბატორის ერთ-ერთ ფე-
...ბმლის არტელში მუშაობს და არც
ერთი დღით არ წყვეტს კავშირს სპორტთან. იგი მწვრთნელთან ერთად თავის მდიდარ გამოცდილებას გადასცემს ახალგაზრდობას და შეუპოვრად ემზადება ოლიმპიადისთვის.

ო. ვედერნიკოვი.
(საკადესის კორ.).

ულან-ბატორი.

მოგზაურობის მოყვარულთა კიდევ ერთი კლუბი

უდმურტეთის დედაქალაქში, სადაც სამამულო ავტომაქანებისა და მოტოციკლების დიდი ნაწილი მზადდება, ავტო-მოტოტურისტთა კლუბი ჩამოყალიბდა. მან მოგზაურობის ასობით მოყვარულს მოუყარა თავი.

ახლა კლუბის ცხრა სექციაში, რომლებსაც გამოცდილი სპეციალისტები—სპორტის ოსტატები ხელმძღვანელობენ, ავტოტურისტები მომავალ მარშრუტებს სწავლობენ. ამ ზაფხულს ისინი ივანოვოსა და ვოლგოგრადში აპირებენ გამგზავრებას მოგზაურობის მოყვარულთა შეკრებებზე, ულიანოვსკის ოლქში კი სამოტოციკლო ორიენტირებაში ითამაშებენ.

იქევსკი.

ნაპირ-ნაპირ აქებები

ფორმენის გამოწვევა

ამერიკელი მძიმეწონოსანი მოკრივის ჯორჯ ფორმენის სახელი მთელს სპორტულ სამყაროშია ცნობილი. ეს ზანგი ათლეტი 1968 წელს მეხიკოს ოლიმპიური თამაშების ოქროს მედლით დაჯილდოვდა, მერე კი მალე გადავიდა პროფესიონალთა რიგებში. იმ დროიდან მოყოლებული რა წარმატებები მოიპოვა ამ ყოფილმა ოლიმპიელმა? ფორმენის გამოსვლათა სიაში აღნიშნულია 36 მოგება (33 — ნოკაუტით) და არც ერთი წაგება.

თუ წინათ ექსპერტები ფორმენის მხოლოდ არაჩვეულებრივ ფიზიკურ ძალას უსვამდნენ ხაზს, ახლა მოკრივე საკმაოდ მაღალი ტექნიკით აღიჭურვა. ფორმენის „საბრძოლო“ წონა დაახლოებით 98 კილოგრამია.

მსოფლიოს რანგთა ცხრილში ფორმენი მესამე ხელთამნად ითვლება. მის წინ მხოლოდ ორი მოკრივეა: ამჟამინდელი ჩემპიონი ჯო ფრეზიერი და ექს-ჩემპიონი მუჰამედ ალი. და აი, ახლა ფორმენმა განაცხადა, რომ მზადაა ერთსაც შეხვდეს და მეორესაც.

პრიზი... გამარჯვებაზე უარისთვის

იუნესკო-ს სპეციალური პრიზი — „ბრძოლაში კეთილშობილებისთვის“ გადაეცა მოყვარულ ველოსიპედისტს ჯონ კლივარდს. ინგლისში გამართული ტრადიციული „რძის რბოლის“ ბოლო ეტაპის წინ იგი II ადგილზე გახლდათ. დასკვნითი ეტაპის ფინიშამდე სულ ცოტა იყო დარჩენილი, როცა კლივარდმა ველოსიპედი დაამუხრუჭა და ავარიაში მოხვედრილი კლოდ ალგუსპარსესს (საფრანგეთი) მიაშურა დასახმარებლად. დახმარებით კი დაეხმარა, მაგრამ ლიდერს უკვე ველარ გაუსწრო.

ლაზერი და... სიგრძეზე ხტომა

რომის ოლიმპიურ თამაშებში სიგრძეზე ხტომაში მოსახპარეზეთა შორის ოქროსა და ვერცხლის პრიზიორები სულ ერთმა სანტიმეტრმა დააშორა. და თუმცა ახლა არავინ აპირებს მსაჯთა გადაწყვეტილების შემოწმებას, შედეგების უფრო ზუსტად განსაზღვრა ამჟამად ერთობ აქტუალურ პრობლემად იქცა. ბევრი რამ იმაზეა დამოკიდებული, თუ როგორი კუთხით დაეშვება სპორტსმენი მიწაზე, რამდენიმე გრამ ქვიშას აჰყრის ზევით, თუ ეს ქვიშა მის კვალს დაეყრება... ინგლისელი მძლეოსნების გუნდის ხელმძღვანელის არტურ გოლდის აზრით, ასეთ შემთხვევებში განსხვავება ორ სანტიმეტრამდე აღწევს.

გოლდი გვთავაზობს ორ ორიგინალურ, თუმცა ძვირადღირებულ ხერხს, რომლებიც მეცნიერებისა და ტექნიკის დღევანდელ მიღწევებს შეეფარდება. პირველი იმაში მდგომარეობს, რომ სახტომი ორმოს ზედაპირის სივრცე ლაზერის სხივებით დაისეროს ერთი სანტიმეტრის ინტერვალით. მეორე ხერხის არსი შემდეგში მდგომარეობს: ორმო დაიფაროს სპეციალური ქაღალდით, რომელშიც გამტარები იქნება ჩაწებებული.

— მორბენალთათვის ფოტოფინიშების დასადგმელად დიდძალი ფული იხარჯება, — თქვა გოლდმა. — სიზუსტე აქ წამის ასეულებსა და ათასეულებს აღწევს. სიზუსტის ასეთივე დონე უნდა იყოს მხტომელთა შედეგების განსაზღვრის დროსაც, თუნდაც ოლიმპიურ თამაშებში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საჯარო ოტვიოსრიში

0:1

მოსკოვის „სპარტაკის“ ფეხბურთელთა გუნდმა წაგებით დაიწყო ტურნე ზაირის რესპუბლიკაში: გუშინწინ ანგარიშით 0:1 დამარცხდა დედაქალაქის „ვიტა-კლუბთან“.

ცრუმორწმუნე ფეხბურთელები

გფრ-ის ნაკრების ორი ცნობილი ფეხბურთელი დიდი ცრუმორწმუნეობით გამოირჩევა: მიულერი მინდორზე გამოსვლისას მიწას მხოლოდ მარცხენა ფეხით დააბიჯებს ხოლმე (იგი დარწმუნებულია, რომ სხვა შემთხვევაში დაითარსება), ცნობილი მცველი ფოგთსი კი თამაშის წინ წვერს არასოდეს იპარსავს.

ისევ 30 გოლი!

ინგლისის პროფესიულ ლიგას არაერთი შედეგიანი თავდამსხმელი ახსოვს, მაგრამ როგორც კი გამოიჩენდა რომელიმე მათგანი თავს ერთ სეზონში, მას საგანგებო მეურვეობას უწესებდნენ და, როგორც წესი, „ანეიტრალებდნენ“.

ამ მხრივ ერთადერთი გამონაკლისი იყო გრივსი („ტოტენჰემი“), რომელმაც 1962-1963 და 1963-1964 წლების სეზონებში ზედიზედ მოიპოვა ლიგის სნაიპერის წოდება.

ახლა, 8 წლის შემდეგ, ინგლისში ისევ გამოჩნდა მკვეთრად გამოხატული სნაიპერი. 1970-1971 წლების სეზონში მაკ-დუგალმა (III ლიგის კლუბი „ბორნემუტი“) 30 გოლი გაიტანა, რაც საუკეთესო მიღწევაა. და აი, 1971-72 წლების სეზონში მაკ-დუგალმა ისევ 30 გოლი გაიტანა!

ისევ ის ჩინეზინიო!

ბრაზილიის ნაკრების ყოფილი ფეხბურთელი ჩინეზინიო მრავალი წელია შერჩა იტალიას. ჩინეზინიო, რომელიც „ვიჩენცაში“ თამაშობს, უკვე 37 წლისაა, მაგრამ სრულიადაც არ აპირებს ფეხბურთისთვის თავის დანებებას. ბრაზილიელმა ფეხბურთელმა უარყო ნიუ-იორკის კლუბ „ფკ კოსმოსის“ მიწვევა და კვლავ იტალიაში დარჩა.

ფეხბურთელი პროფესორი გახდა

უწინ კარგად ცნობილი იტალიელი ფეხბურთელი ფლამბერტი სპორტული კარიერის დათავრების შემდეგ მედიცინის შესწავლას შეუდგა. დღეს იგი ცნობილი პროფესორი-ფსიქოლოგია, მაგრამ ფეხბურთთან კავშირს არ წყვეტს. იგი სისტემატურ ურთიერთობაშია ორ კლუბთან, რომლებსაც სამედიცინო თვალსაზრისით სწავლობს. ამ გუნდებთან მისი თანამშრომლობა, იტალიელი ჟურნალისტების მოწმობით, ფრიად ნაყოფიერი და სასარგებლოა ფეხბურთელთათვის.

პელეს „მემკვიდრე“?

როგორც ცნობილია, ამას წინათ ევროპაში ხანგრძლივ გასტროლებზე იყო პელეს კლუბი „სანტოსი“. თვით პელეს თამაშმა ვერ დატოვა უწინდელი შთაბეჭდილება, სამაგიეროდ, მაყურებლები დიდი ინტერესით შეხვდნენ ახალი ვარსკვლავის — ალფონსინიოს გამოჩენას. ალფონსინიო „სანტოსში“ სულ ახლახან გადავიდა „ვასკო და გამადან“. მას დიდი ფეხბურთელის ყველა მონაცემი აქვს. „სანტოსის“ ხელმძღვანელობა ალფონსინიოს პელეს „მემკვიდრედ“ თვლის და ეარაუდობს, რომ მან თავი უნდა გამოიჩინოს მომავალ მსოფლიო ჩემპიონატში.

კეიტა ბელგიაში გადადის

გამოჩენილმა აფრიკელმა სნაიპერმა კეიტამ, რომელიც ახლა დიდი წარმატებით თამაშობს „სენტ-ეტიენში“ (საფრანგეთი), განაცხადა, რომ მომავალი სეზონიდან კლუბს იცვლის. იგი ბელგიის მოწინავე გუნდის — „ფკ ბრიუჟის“ წევრი გახდება. „ბრიუჟის“ გარდა, კეიტას საფრანგეთისა და ბელგიის ბევრი სხვა კლუბიც ეპატიჟებოდა.

თასი — „კრუზ ასულს“

ცენტრალური და ჩრდილოეთ ამერიკის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშების ფინალურ მატჩში ერთმანეთს შეხვდნენ „კრუზ ასული“ (მექსიკა) და „ალიანენსე“ (კოსტა-რიკა). მატჩი მექსიკელთა დიდი უპირატესობით მიმდინარეობდა — 5:1.

ახლა „კრუზ ასულმა“ „ინტერ-ამერიკული“ თასისთვის ბრძოლის უფლება მოიპოვა და მონტევიდეოს „ნასიონალს“ უნდა შეხვდეს.

ტელეტაიპის ლენტიდან

ტოკიო, 19 მაისი. სულ ახლახან იაპონიაში სსრ კავშირის ფრენბურთელ ქალთა ტურნე დამთავრდა. და აი, დღეს ამომავალი მზის ქვეყნის ეროვნულ გუნდთან საბჭოთა ფრენბურთელმა ვაჟებმა დაიწყეს ახალგაზრა შეხვედრები. სტუმრებმა პირველი მატჩი დედაქალაქში ითამაშეს — 1:3 (8:15, 16:14, 2:15, 11:15). საბჭოთა გუნდი იაპონიაში ამჟამად ხუთ შეხვედრას გამართავს.

სინგაპური, 19 მაისი. სსრ კავშირის ვერცხლის პრიზიორებმა — მოსკოვის უნივერსიტეტის წყალბურთელებმა — სიცილიის ამ ქალაქში მოიგეს ტრადიციული საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც მათთან ერთად ეამოდიოდნენ იტალიის, უნგრეთისა და იუგოსლავიის გუნდები. საბჭოთა სპორტსმენებმა გადამწყვეტ მატჩში დაამარცხეს ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის მფლობელი — ზაგრების „მლადოსტი“.

ბანგალორი, 19 მაისი. დევისის თასის მრავალგზის მფლობელებმა — ავსტრალიის ჩოგბურთელებმა — წლევანდელ გათამაშებაში ერთელას აჯობეს აზიის ზონაში. ამ ქალაქის კორტებზე გამართულ შეჯიბრებაში მათ დაამარცხეს მასპინძლები — ინდოეთის სპორტსმენები ანგარიშით 5:0. ახლა ავსტრალიელებს ელით შეხვედრა ევროპის „ა“ ზონაში გამარჯვებულთან. ამ ზონაში სსრ კავშირის ნაკრებიც გამოდის.

ბუდაპეშტი, 19 მაისი. ევროპის შარშანდელი პირველობის ვერცხლის პრიზიორმა, 23 წლის გ. ბალოგმა „ნეპშტადიონზე“ 200 მ 23,2 წამში გაირბინა, რაც სეზონის საუკეთესო შედეგია კონტინენტზე. ოლიმპიურმა ჩემპიონმა ი. ივოცკიმ ურო 72,04 მეტრზე ტყორცნა, ხოლო უნგრეთის მძლეოსნობის ეტერანმა, ევროპის 1962 და 1966 წლების ჩემპიონმა, 36 წლის ჯ. ვარუმ ერთვი 19,88 მეტრზე ჭერა.

ბუქარესტი, 19 მაისი. ნ. პერციამ 110 მეტრზე თარჯრბენში რუმინეთის რეკორდი დაამყარა — 13,3 წამი. ეს ევროპაში წლევანდელი სეზონის საუკეთესო შედეგის გამეორებაა.

ჰავანა, 19 მაისი. ტრადიციულ „ბარიენტესის მემორიალში“ მ. როდრიგესი 183 სმ სიმაღლეზე გადახტა და კუბის რეკორდი დაამყარა. რ. დიასი საუკეთესო იყო სიგრძეზე მხტომელთა შორის (783 სმ), ფ. რომეიმ 100 მ 11,4 წამში გაირბინა. სახტომში მსოფლიო რეკორდსმენმა პ. დუვანსმა ხეზონი 16,80 მეტრზე ნაბტომით დაიწყო.

ბუდაბეტი, 19 მაისი. დასავლეთ გერმანიის ამ ქალაქში წლევანდელ სეზონში სარბიელზე პირველად გამოვიდა გფრ-ის წარმომადგენელი ი. შვარცი, რომელიც სიგრძეზე ხტომაში ევროპის რეკორდს „ეყოფს“ საბჭოთა სპორტსმენ ი. ტერ-ოვანესიანთან. შვარცის შედეგია 272 სმ. 19 წლის ა. კრონიგერმა 100 მ 11,4, ხოლო 200 მ 23,2 წამში გაირბინა.

„სპორტლოტო“ ხაბაროვსკში

ხაბაროვსკის ვ. ი. ლენინის სახელობის სტადიონის რეკონსტრუქციისთვის 12 ათასი მანეთია გამოყოფილი. ამ სტადიონზე, რომელიც ქალაქში ყველაზე დიდია, ტარდება ფეხბურთელთა შეხვედრები და ბურთის ჰოკეის ოსტატთა მატჩები ქვეყნის პირველობაზე. ეს თანხა შორეული აღმოსავლეთის მკვიდრთა პირველი „გადარიცხვაა“, რომლებმაც „ხპორტლოტოს“ თამაში დაიწყეს. ხაბაროვსკში ბარათების გასავრცელებლად ზონალური სამმართველო შეიქმნა.

პირველ ტირაჟში ხაბაროვსკელებს ბედი სწყალობდათ: ყოველ 51-ე ბარათს მოგება ხვდა.

„სპორტოვეცის“ ანკეტა

ჟურნალმა „სპორტოვეცმა“ (პოლონეთი) თავის მკითხველებს წინადადებით მიმართა წარედგინათ ეროვნული იდეალური ნაკრები. გულშემატკივრებმა რედაქციას 12907 წერილი გაუგზავნეს. ამ გამოკითხვის შედეგად პოლონეთის იდეალური ნაკრები ასე გამოიყურება: მეკარე შიმკოვიაკი, მცველები შჩეპანსკი, ოსლიზლო, კორინტი, ანჩოკი, ნახევარმცველები პოლი, ბრიხჩი, შოლტისკი, თავდამსხმელები ცეზლიკი, ლიუბანსკი, ვოდარი.

პოლონეთის ყველაზე პოპულარულ ფეხბურთელად დასახელებულია ზაბეკე „გურნიკის“ კაპიტანი ს. ოსლიზლო, რომელმაც 11485 ხმა მიიღო.

თ. ფიკლაური.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რა მოხდა?

ხელბურთელ ქალთა საკავშირო ჩემპიონატი უკვე დასასრულს მიუახლოვდა, ვაჟთა ჩემპიონატმა კი ახლახან აიღო სტარტი.

ზაპოროჟიეში

ვაჟთა ჩემპიონატის III ტურის შეხვედრების შედეგები უკვე გაცნობეთ, მაგრამ გვინდა დავუბრუნდეთ თბილისის „ბურევესტნიკისა“ და მოსკოვის სავიაციო ინსტიტუტის გუნდებს შორის გამართულ მატჩს. თბილისელები, როგორც იცით, დამარცხდნენ და თანაც როგორ — 8:27 (3:13)! თბილისელებს ასეთი დიდი სხვაობით (19 ბურთი) ჯერ არავისთან წაუგიათ.

რა მოხდა? ახლა ძნელია ამ თემაზე საუბარი, ვინაიდან ამ მატჩის მოწმენიც და მონაწილენიც ჯერ თბილისს არ დაბრუნებულან. ამ კითხვაზე ცოტა მოგვიანებით ვუპასუხებთ მკითხველებს.

გუშინწინ ხელბურთელებს დასვენების დღე ჰქონდათ, გუშინ კი ყველან საღამოს გაიმართა IV ტურის მატჩები.

ახლა კი ვნახოთ, როგორია სატურნირო ცხრილში გუნდების მდგომარეობა 3 ტურის შემდეგ:

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
საავ. ინსტ.	3	3	0	0	58—37	6
მეტალ. ინსტ.	3	3	0	0	44—30	6
ცსკა	3	1	2	0	45—41	4
„კუნცევო“	3	0	3	0	43—43	3
„უნივერსიტ.“	3	0	2	1	41—42	2
„ბურ.“ (თბ.)	3	1	0	2	40—53	2
„ბურ.“ (ტაშკ.)	3	0	1	2	40—50	1
„ალუმინსტ.“	3	0	0	3	38—53	0

კაუნასში

ქალთა ჩემპიონატის ბოლო წრის V ტურის შეხვედრებიდან მხოლოდ კიეველ და ბაქოელ სპარტაკელთა მატჩის შესახებ ვიტყობინებოდით. დანარჩენი სამი თამაში ასე დამთავრდა: „ტექნოლოგი“ (მინსკი) — „კალინინეცი“ (სვერდლოვსკი) 7:4 (5:0); „ლუჩი“ (მოსკოვი) — ურალის პოლიტექნიკური ინსტიტუტი (სვერდლოვსკი) 16:8 (7:5), „ჟალგირასი“ (კაუნასი) — ბინათმშენებლობის № 3 კომბინატი (კიევი) 12:12 (8:6).

ჩემპიონატის დამთავრებამდე ორი ტურით ადრე კიევის „სპარტაკს“ 37 ქულა და ჩემპიონობაც განაღდებული აქვს. II ადგილზეა ბაქოს „სპარტაკი“ (29 ქულა), III — „ლუჩი“ (26), IV — ბინათმშენებლობის № 3 კომბინატი (21), V — „ჟალგირასი“ (17), VI — ურალის პოლიტექნიკური ინსტიტუტი (12), VII — „ტექნოლოგი“ (7), VIII—„კალინინეცი“ (4).

ეტიუდი

ვ. კალანდაძე

(თბილისი)

ეძღვნება მსოფლიო ჩემპიონს

ნ. გაფრინდაშვილს.



თეთრები იგებენ

შეამოწმეთ თქვენი პოზიცია

„ლელოს“ 30 აპრილის ნომერში გამოქვეყნებული რ. თავარიანის ამოცანა სწორად ამოხსნეს: თბილისელებმა ნ. ერემაძემ, ს. ქვანიამ, ა. სიხარულიძემ და თ. გრძელაშვილმა (ვალე).

გთავაზობთ ამოხსნას:

1. ედ5 მფe6 2. d7 მფ:d5 3. d8მ მფd6 4. ეa7. თუ 2. ... მფe7, მაშინ 3. d8ლ+ მფe6 4. ეa6+.

გაზეთის 7 მაისის ნომერში დაბეჭდილი დ. გურგენიძის ეტიუდი ასე ამოიხსნება: 1. მფg7 ლh2+ 2. მფg8 ლh8+ 3. მფ:h8 მფ:f7 4. d6 მd5 5. d7 მf4 6. d8მ+ მფf8 7. მe6+ მ:e6 პატით.

სწორი პასუხები გამოგზავნეს: ს. ასათიანმა (მოსკოვი), ო. ბენდელიანმა (საბჭოთა არმია), ა. კუპრეიშვილმა (სოფელი განთიადი, გაგრის რაიონი), ს. ქვანიამ (თბილისი), ლ. ხუნწელიამ (წულუკიძე), ე. ჭუმბურიძემ (სოფელი სიმონეთი, თეჯოლის რაიონი).

გასწორება

„ლელოს“ 23 აპრილის ნომერში მოთავსებული რ. დადუნაშვილის ეტიუდის ამოხსნა ასეთია:

1. a7 კf3 2. მ:f3 ეc2+ 3. მფd7 h2 4. მ:h2 ეd2+ 5. მფe7 ეa2+ 6. მფf7 ეf2+ 7. მფg7 ეg2+ 8. მg4 ე:g4+ 9. მფf7 ეf4+ 10. მფe7 ეe4+ 11. მფd7 ეd4+ 12. მფc7 ეc4+ 13. მფb7 და იგებენ.

ეტიუდის ამოხსნა, რომელიც მოცემულია ჩვენი გაზეთის 7 მაისის ნომერში, არასწორია. ესაა 23 აპრილს გამოქვეყნებული ა. ალიოშინის ერთ-ერთი პარტიის დამოლოების ამოხსნა. ტექნიკური მიზეზებით, იგივე ამოხსნა გამეორებულია გაზეთის ამავე ნომერში.

ბ. ვ. ტახტაროვი

მაღალი, წელში გამართული, იგი ამაყად, დინჯად დაადიოდა ჩვენს შორის. ამ სიდინჯის მიღმა, ვინ იცის, რამდენი დაძაბული წუთი, რამდენი კარგი ფიქრი და კეთილი საქმის წადილი იმალებოდა.

ბორის ვიქტორის ძე ტახტაროვი 1908 წელს დაიბადა. ახალგაზრდობაში კარგი მძლეოსანი და მრავალმხრივი სპორტსმენი იყო. რაც მთავარია, იცოდა საქმისადმი ერთგულება და დავალების პირნათლად შესრულება. ალბათ ამიტომ მოხდა, რომ ტახტაროვმა უკვე 20 წლიდან მოჰკიდა ხელი მწვრთნელის რთულსა და საპატიო საქმიანობას. იმ დროს ნამდვილი სპორტული პედაგოგები იშვიათად იყვნენ.

... ორმოცდაათიან წლებში საქართველოში ნიჭიერ მძლეოსანთა მთელი პლეადა გამოჩნდა — ნადეჟდა ხნიკინა, მერი ქოჩლაძე, მურზაიან გეგეშიძე, სვეტლანა როზანოვა, ლამარა სესაძე, ვიოლა თეთრაძე, ჯულიეტა ოდილავაძე...

ეს სპორტსმენები იმთავითვე დიდ იმედს იძლეოდნენ და ახალგაზრდა მწვრთნელს დაუფასდა კიდეც ამაგი. სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა ნადეჟდა ხნიკინა-დვალიშვილმა საკავშირო რეკორდები დაამყარა 100 და 200 მეტრზე რბენაში, მსოფლიო რეკორდი — ესტაფეტაში 4×200 მეტრზე. მანვე გაიმეორა მსოფლიოს უმაღლესი მიღწევები 60 მეტრზე რბენასა და სიგრძეზე ხტომაში, მოიპოვა ოლიმპიური თამაშების ბრინჯაოს მედლები ჰელსინკსა და მელბურნში. საბჭოთა კავშირში კარგ მძლეოსნებად ითვლებოდნენ თარჯრბენის ოსტატები მ. ქოჩლაძე, ვ. თეთრაძე, ჯ. ოდილავაძე, ბადროს მტყორცნელი ლ. სესაძე.

ბორის ტახტაროვმა გარკვეული წვლილი შეიტანა კ. გორძალაშვილის, გ. გუდაშვილის, ჯ. ხხულუხიას, ნ. კონოფოლსკაიას, რ. ჩუბინიძისა და სხვა მძლეოსნების დაოსტატებაში.

1958 წელს ბ. ტახტაროვმა თბილისის სკოლა-ინტერნატში დიწყო მუშაობა და უკვე ორიოლე წლის შემდეგ საქართველოს ნორჩმა მძლეოსნებმა მისი ხელმძღვანელობით I ადგილი მოიპოვეს საკავშირო ზონალურ სპარტაკიადაში. ტახტაროვის რამდენიმე მოწაფე მოზარდთა საკავშირო სპარტაკიადის ჩემპიონი გახდა, ხოლო სკოლა-ინტერნატში აღზრდილი 10 მძლეოსანი საქართველოს მოზრდილთა ნაკრებში ჩარიცხეს.

ბორის ტახტაროვს თბილისის უნივერსიტეტი და საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტი ჰქონდა დამთავრებული.

1962 წელს მან საქართველოს სსრ დამსახურებული მწვრთნელის საპატიო წოდება მიიღო.

ბ. ტახტაროვი მძლეოსნობის რესპუბლიკური ფედერაციის პრეზიდიუმის წევრი იყო. აქტიური მუშაობით იგი დიდად უწყობდა ხელს ჩვენში მძლეოსნობის წინსვლას, ახალგაზრდობის მიზიდვას სტადიონის ბილიკებსა და სექტორებზე.

საქართველოს ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტი;
მძლეოსნობის რესპუბლიკური ფედერაცია.

თასები და მათი მფლობელები

თბილისის ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის სპორტულ მოედნებზე ჩატარდა ფრენბურთელთა საქალაქო თასების გათამაშება. ასპარეზობაში მონაწილეობა მიიღო ქალთა და ვაჟთა 8-8 გუნდმა. ტურნირის პირველ ეტაპზე გამოვლინდნენ ოთხეულები, რომლებმაც წრიული სისტემით განაგრძეს ბრძოლა საპატიო ჯილდოებისთვის.

ქალებში წარმატების მიაღწიეს საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის წარმომადგენლებმა (მწვრთნელი — სპორტის ოსტატი ს. თარახჩიანი). ფინალურ ტურნირში მათ ერთნაირი ანგარიშით (3:1) დაამარცხეს უნივერსიტეტისა და ფიზკულტურის ინსტიტუტის ფრენბურთელები. ლიდერებს გადამწყვეტი შეხვედრა თბილისის განათლების განყოფილების ნორჩ სპორტსმენებთან ჰქონდათ. მომავალი ინჟინრების უპირატესობა ამჯერადაც აშკარა იყო — 3:0 (15:8, 17:15, 15:12). III ადგილი წილად ხვდათ უნივერსიტეტელებს.

ვაჟთა კვარტალში უძლიერესი აღმოჩნდა თბილისის განათლების განყოფილების გუნდი (მწვრთნელი — საკავშირო კატეგორიის მსაჯი ლ. სტეპანიანი). ნორჩმა ფრენბურთელებმა ერთნაირი ანგარიშით (3:0) სძლიეს „დინამოსა“ და ამიერკავკასიის რკინიგზის ბავშვთა და მოზარდთა სპორტსკოლის გუნდს. გადამწყვეტი ბრძოლა ნორჩებს ფიზკულტურის ინსტიტუტის წარმომადგენლებთან ჰქონდათ. ორსაათიანი დაძაბული თამაში მოსწავლეთა გამარჯვებით დამთავრდა — 3:2 (15:11, 3:15, 15:10, 15:17, 15:9). რკინიგზელები III ადგილზე გავიდნენ.

ლ. კნოლეველი.

ფრენბურთი

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

თბილისის სპორტულ ბანერზე

ტანვარჯიში. თბილისის განათლების განყოფილების ბავშვთა ცენტრალური ტანვარჯიშული სკოლის სპორტდარბაზი (პეტრიაშვილის ქ. № 7). 22-24 მაისი. საერთაშორისო შეხვედრა: „დინამო“ (სსრ კავშირი) — „დინამო“ (ბდრ). დასაწყისი 18 ს.

საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის რექტორატი აცხადებს, რომ I იულისიდან დაიწყება ერთთვიანი მოსამზადებელ კურსებზე იმ პირთა მიღება, რომელთაც სურთ შეხვლა ინსტიტუტის უმაღლესი სპორტული ოსტატობის, პედაგოგიურ, სამასწავლებლო და დაუსწრებელი სწავლების ფაკულტეტებზე, ან ინსტიტუტთან არსებულ მწვრთნელთა სკოლაში.

მსურველებმა 25-30 ივნისს უნდა წარმოადგინონ: განცხადება, ნოტარიულად დამოწმებული ატესტატის ასლი (მას, ვინც წლეულს ამთავრებს სკოლას, შეუძლია წარმოადგინოს ცნობა სკოლის სრული კურსის დამთავრების შესახებ), ხოლო მწვრთნელთა სკოლაში შემსვლელმა — ცნობა არასრული განათლების შესახებ; ჯანმრთელობის ცნობა (ფორმა № 286), საკლასიფიკაციო ბილეთი.

უმაღლეს სპორტული ოსტატობის ფაკულტეტზე შემსვლელი უნდა იყოს სპორტის ოსტატი ან ოსტატობის კანდიდატი სპორტის არჩეულ სახეობაში (მძლეოსნობა, სპორტული ტანვარჯიში, მხატვრული ტანვარჯიში, აკრობატიკა, ფრენბურთი, ჩოგბურთი, მაგიდის ჩოგბურთი, ცურვა, წყალში ხტომა, წყალბურთი, თავისუფალი ჭიდაობა, კლასიკური ჭიდაობა, სამბო, ძალოსნობა, კრივი, ტყვიის სროლა, სასტენდო სროლა, მშვილდოსნობა).

შენიშვნა: პირველთანრიგოსნებიდან გამოცდაზე დაიშვებიან მძლეოსნობამი, ფრენბურთში, ჩოგბურთში, მაგიდის ჩოგბურთში, ცურვასა და კრივში დაოსტატებული სპორტსმენები, თუ საქართველოს ნაკრები გუნდის წევრები არიან.

პედაგოგიურ ფაკულტეტზე შემსვლელს უნდა ჰქონდეს მეორე სპორტული თანრიგი მაინც სპორტის არჩეულ სახეობაში (მძლეოსნობა, სპორტული ტანვარჯიში, მხატვრული ტანვარჯიში, აკრობატიკა, კალათბურთი, ხელბურთი, ცურვა, წყალში ხტომა, წყალბურთი, ნიჩბოსნობა, კლასიკური ჭიდაობა, ძიუდო, ფარიკაობა, ველოსპორტი, სამთოსათხილამურო სპორტი, ციგურები, თანამედროვე ხუთჭიდი, მთამსვლელობა, ფეხბურთი).

სამასწავლებლო და **დაუსწრებელ ფაკულტეტებზე** შემსვლელთ უნდა ჰქონდეთ მესამე თანრიგი მაინც სპორტის ნებისმიერ სახეობაში.

ინსტიტუტთან არსებულ **მწვრთნელთა სკოლაში** შემსვლელთათვის საჭიროა მეორე სპორტული თანრიგი მაინც არჩეულ სახეობაში (მძლეოსნობა, სპორტული ტანვარჯიში, კალათბურთი, ფრენბურთი, ფეხბურთი, ხელბურთი, ცურვა, თავისუფალი ჭიდაობა, კლასიკური ჭიდაობა).

სწავლება — ქართულ ენაზე შემდეგ საგნებში: წერა, ქიმია, ფიზიკა (მათემატიკა — მწვრთნელთა სკოლაში შემსვლელთათვის). ჩატარდება პრაქტიკული მეცადინეობანი მძლეოსნობაში, ტანვარჯიშსა და ცურვაში.

კურსებზე სწავლის მსურველებმა უნდა გადაიხადონ სწავლებისთვის დაწესებული საფასური. რაიონში მცხოვრებნი უზრუნველყოფილი იქნებიან საერთო საცხოვრებლით.

დაწვრილებითი ცნობების მიღება — ყოველდღიურად, 10 საათიდან. მისამართი: თბილისი, ი. ჭავჭავაძის პრ. № 49. მე-20 ოთახი. ტელეფონი 22-00-76.

ინსტიტუტის რექტორატი.

სასამართლოს დარბაზიდან

ხულიგნები საჭიდაო სარბიელზე

ქარელის რაიონში ცნობილი სოფელია ცერონისი. ამ სოფლის მკვიდრთ შრომაც ძალიან უყვართ და დასვენებაც. ახალგაზრდობა სპორტსაც ეტანება, განსაკუთრებით კი ჭართულ ჭიდაობას მისდევს და აკი საკუთარი ძალებით სოფლის ცენტრში მშვენიერი საჭიდაო სარბიელიც მოაწყო. უნდა გენახათ, ყოველ საღამოს რა მხიარული ყიჟინა იღგა — მოჭიდავე წყვილებს აქეზებდნენ.

სამწუხაროდ, სოფელში ისეთი აზალგაზრდებიც აღმოჩნდნენ, რომლებიც ხშირად მთვრალები შეიჭრებოდნენ ახალ სარბიელზე და სპორტულ საღამოებს შლიდნენ.

გმირი (ეს სახელია!) გალაკტიონის ძე და პავლე ივანეს ძე ყიფშიძეებს ცა ჭუდად არ მიაჩნიათ და დეღამიწა ჭალამნად. ერთ დღესაც უგონოდ დათვრნენ და სოფლის ორღობეებს მოდგნენ.

— ბიჭო პავლე, მკლავში ძალას ვგრძნობ, მოდი სოფლის საჭიდაო სარბიელზე წავიდეთ, ვნახოთ ერთი, რა ვაჟკაცებიც არიან. მე, ვშორ ყიფშიძის, ვინ გამბედავს წინ გადადგომას!

— წავიდეთ რომელია, ამ ფუთანებს ხომ ხედავ, — პავლემ დამუშტული ხელები ჰაერში შეათამაშა, — ცხვირ-პირს დავამტვრევ იმ ფალავნებს!

სარბიელი კი ამ დროს ხალხით იყო სავსე. ორი ახალგაზრდა ჭიდაობდა. მსაჯი ბიჭიკო ტალახაძე მოჭიდავეებს თავს დასტრიალებდა.

სად იყო და სად არა, უცებ სარბიელზე ყიფშიძეები შეცვივდნენ. ჯერ გმირი დატრიალდა, მაყურებლები მიყარ-მოყარა და მსაჯს ლანძღვა დაუწყო:

— მსაჯი კი არა, ნამდვილი მეწალე ხარ. ეგრე უნდა მსაჯობა? აი, ეს არის ჩვენი ფალავანი, — გმირი დამარცხებულ მოჭიდავეს მივარდა, წამოაყენა და მერე გინებით ტალახაძისკენ გასარტყმელად გაიწია.

— მაგ საცოდავს დაავიწყდა? ღვინო კასრს ხეთქავს და მაგას რომ კაი საქმის არ დამართებს, არ იცის?

— მაგათ რა გამოასწორებთ, კაცო, ღვინოში იხრჩობენ თავს, — ლაპარაკობდნენ გულდაწყვეტილი მაყურებლები.

ჭიდაობა წაიშალა. უმაყოფილო ხალხი დაიშალა, მაგრამ გმირი და პავლე ყიფშიძეები როდი დაშშშ. ნდნენ. ისინი ბ. ტალახაძეს, რომელმაც თავი მოარიდა მთვრალ ახალგაზრდებს და შინ წავიდა, გზაში დაეწივნენ და ცემა დაუწყეს.

როგორც იქნა, ტალახაძემ თავი დააღწია მოძალადეებს და გაიქცა, მაგრამ გმირი და პავლე უდანაშაულო ადამიანს შინ მიუცვივდნენ, ჯერ ქვებით ფანჯრის მინები ჩაულეწეს, მერე გმირმა დანა იშიშვლა და ოთახში შევარდნას აპირებდა. ვინ იცის, რა უბედურება დატრიალდებოდა, ხალხს რომ არ ემარჯვნა და ხულიგნები იქვე არ დაეკავებინა.

— გვაპატიეთ, შეგცდით, დანაშაული სიმთვრალეში ჩავიდინეთ, — ბოიკატენეს თავი სასამართლო პროცესზე ყიფშიძეებმა. მაგრამ მათ განუმარტეს, რომ სიმთვრალეში ჩადენილ დანაშაულს კანონი უფრო აშძიმებს, ქარელის სახალხო სასამართლომ კმრ ყიფშიძეს მიუსაჯა თავისუფლების აღკვეთა 3 წლიოა და 6 თვით, ხოლო პავლე ყიფშიძეს — 1 წლითა და 6 თვით.

სწორედ ამ გმირებისთანებზე უთქვამს ხალხს: ღვინოს დაუმეგობრდები, ნამუსს დაემშვიდობებიო.

ზ. მესხენიშვილი,
საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს უფროსი კონსულტანტი.

ИНДЕКС 6644В

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამოცემლობის ტაბლა. ლენინის ქ. № 14.

ТЗ 04530